ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 22

სხდომის ჩატარების დრო:

30 აგვისტო, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეორე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 35 წევრიდან - 32 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე.

სულ: 3 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ნაკრებს წარმატება და „ფლეი-ოფში“ გასვლა მიულოცა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საკრებულოს წინა სხდომაზეც დავაყენე ეს საკითხი. ახალი სასწავლო წელი იწყება და უნდა ვიზრუნოთ საგზაო ინფრასტრუქტურის, სკოლების წინ უსაფრთხოების ზომების დაცვის შესახებ. ასევე დავსვი მეორე საკითხი, რომელიც ბავშვების მგზავრობის ღირებულებას ეხება. ქალაქის მერსაც მივმართე ამ საკითხთან დაკავშირებით წერილობით. წერილი 30

ივნისით არის დათარიღებული და დღემდე ამ ინიციატივასთან დაკავშირებით პასუხი არ მიმიღია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გაგცემთ პასუხს. მე როგორც ვიცი, აღმასრულებელი მუშაობს აღნიშნულ საკითხზე. ეს კონკრეტულად ეხება სკოლის მოსწავლეების მგზავრობის საკითხს. სულ მალე გვექნება სიახლე, ან გავაკეთებთ შეღავათებს, ან საერთოდ გავაუქმებთ ღირებულებას. მე, როგორც ვიცი, მსჯელობა მიდის ამ საკითხზე. კონკრეტულ ბიუჯეტზეა საუბარი. გვექნება აუცილებლად სიახლე და ამასთან დაკავშირებით ძალიან მალე იქნება ინფორმირებული საზოგადოება. ამ ეტაპზე შემიძლია დავადასტურო, რომ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ტრანსპორტის სამსახურსა და მერიის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილებას შორის. ამავდროულად, ამ პროცესში ჩართულია საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხელმძღვანელი, ბატონი ბაქარ მახარაძე. რაც შეეხება უსაფრთხოების წესებს, მე კიდევ ერთხელ მინდა გავაჟღერო, მივმართავ „ქუთგანათების“ სერვისს, ჩვენ ამ 15 დღის განმავლობაში გვაქვს საშუალება, მივიღოთ უსაფრთხოების ზომები სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიმდებარედ, მოვაწესრიგოთ გადასასვლელები, სიჩქარის შემაკავებელი ბარიერები. ეს ჩემგან მიიღეთ, როგორც თხოვნა, როგორც მოწოდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე**: „კარგი იქნებოდა ქალაქის მერი ესწრებოდეს საკრებულოს სხდომას. მერამდენე საკრებულოს სხდომაა, რომ არ ესწრება ქალაქის მერი, უკვე აღარ მახსოვს. მე მინდა შევეხო ბალახვანში მომხდარ მძიმე ფაქტს. ეს იყო ხეების მოჭრა. რა მიზნით, რატომ? ყველამ ვიცით, რომ სასტუმროს გაუთავისუფლეს ტერიტორია. ამ პასუხის მოსმენა ქალაქის მერისგან მინდოდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ საკითხთან დაკავშირებით, მეც მესმის საზოგადოების აღშფოთება. აბსოლუტურად ლეგიტიმურია მათი ეს მდგომარეობა. მოკლე კომენტარს გავაკეთებ. სამართლებრივად თვითმმართველობის როლი ამ პროცესში იყო მინიმალური.

მინიმალური არა, ნული, საერთოდ არ იყო. შესაბამისად, ჩვენ სამართლებრივად მივადევნოთ ყურადღება რაღაც საკითხებს, რატომ მოხდა, როგორ მოხდა. დანარჩენზე კომენტარს ვერ გავაკეთებ ამ ეტაპზე. ჩემთვისაც რაღაც დეტალები არის გასარკვევი, რომელსაც გავარკვევ, როდესაც მეტი დეტალები მეცოდინება, უფრო ვრცელ კომენტარს გავაკეთებ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თედო მესხი:** „მე მინდა ვისაუბრო გოგებაშვილის ქუჩაზე მიმდინარე სიტუაციაზე. დღესაც ვიყავი იქ და არათუ მანქანით, ფეხით გავლაც კი შეუძლებელია. ქალაქის ცენტრიდან 200 მეტრში, ასეთ ვითარებას, რომ ნახავს ტურისტი, რა შთაბეჭდილება უნდა დარჩეს. საშინელი მდგომარეობაა. ეს ქალაქის ისტორიული ნაწილია და მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „გოგებაშვილის ქუჩა ნამდვილად გასაკეთებელია, მაგრამ მანდ ყველაზე დიდი პრობლემა არის საკანალიზაციო სისტემა, რომელიც არის ძველი, გამოსაცვლელი. ამის გამო გზის რეაბილიტაცია იყო შეჩერებული. პირველ რიგში ეს პრობლემა უნდა მოწესრიგდეს, სანიაღვრე ქსელიც, რა თქმა უნდა, არის გასათვალისწინებელი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გავითვალისწინებთ ბატონო თედო. თქვენი ეს წინადადება სხდომის ოქმში აისახება საოქმო ჩანაწერის სახით და აუცილებლად გაეგზავნება აღმასრულებელ ორგანოს. რაც შეეხება ამ საკითხს, გეთანხმებით, ნამდვილად საშინელი მდგომარეობაა. ინფრასტრუქტურის სამსახური ალბათ, უფრო დეტალურად გეტყოდათ, თუ რაშია საქმე. თუმცა, საკრებულოს დეპუტატს აქვს სრული ინფორმაცია, რომ იქ არ არის მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემა, იქ არის კანალიზაციის ქსელისა და სანიაღვრე ქსელის პრობლემები. მე ვფიქრობ, კომლექსური მიდგომაა საჭირო და კონკრეტული შეფერხებაა იმ ნაწილში, სადაც თვითმმართველობის პასუხიმგებლობა არ არის და ამ პასუხისმგებლობას დავაყენებთ ნამდვილად."

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2023 წლის აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ განხორციელებული ცვლილების გამო, ამ ფრაქციის თავმჯდომარის, ბატონი გიორგი კილაძის წინადადების საფუძველზე, საკრებულოს 22 - ე სხდომის დღის წესრიგის პროექტში შევიდა ცვლილება. კერძოდ, დღის წესრიგის პროექტს მე - 2 ნომრად დაემატა საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგის პროექტი გადაინომრა თავიდან. ამასთან, შეიცვალა მე-10 საკითხის სათაური (შპს „ბიბლუსი კოს“ ნაცვლად, სათაურში ჩაიწერა შპს „ბიბლუსი“) და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნინო ჭოლაძის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბუაკოსა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიბლუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს საპატრიარქოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი, I შესახვევი, №14ა), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (კაუჩუკის ფილები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნინო ჭოლაძის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბუაკოსა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიბლუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ინგა გუმბერიძის, ქეთევან არაზაშვილის, ნანა იდაძისა და სალომე რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

12. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №53ბ), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის №207 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 22-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

მან აქვე განმარტა: „ჩვენ რეგლამენტში შეგვაქვს ცვლილება. კერძოდ, გენდერული საბჭოს დებულებაში ასახული საბჭოს შემადგენლობის რაოდენობრივი ცვლილების ნაწილში. ამასთან, რეგლამენტში კონკრეტულად არ იყო გაწერილი საკრებულოს სხდომის წარმართვის პირობა ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში. ვფიქრობ, ამ ნაწილის დაზუსტება სამართლებრივადაც კარგი იქნება და ნორმად ჩამოყალიბდება შესაბამისი პასუხიმგებლობებით. თუ ვერ შედგა ქვორუმი, შემდეგ უკვე საკრებულოს თავმჯდომარე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სხდომის გადადების თაობაზე. მე მინდა, მადლობა გადავუხადო უმრავლესობის წევრებს, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს, ასევე ოპოზიციას, რომ აქტიურად ხართ ჩართულები „USAID“ -ის პროგრამაში. რეალურად ეს ასევე რეგლამენტის გადახედვასაც ითვალისწინებს და მასში იმ ნორმების შემოტანას, რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებას. წლის ბოლოსთვის ჩვენ მზად გვექნება, რა დამატება შეიძლება განვახორციელოთ საკრებულოს რეგლამენტში. აქვე გეტყვით, რომ აღნიშნული ინიციატივა მოამზადა საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილებამ და აღნიშნულ საკითხზე ასევე იმუშავა სამდივნო განყოფილებამ. “

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მოგესალმებით კოლეგებო,

ბოლო საკითხთან დაკავშირებით, კარგი იქნება თუ უფრო მეტი კონკრეტიკა გვექნება. ეს ეხება ქვორუმის საკითხს. თქვენთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს. უბრალოდ, ეს რეგლმენტი შეეხება შემდგომ საკრებულოებსაც. კარგი იქნება, თუ დავაკონკრეტებთ, რომ ორჯერ არშემდგარი ქვორუმის გამო გადავდებთ ამ სხდომას, შეიძლება ერთი წევრის გამო კოლეგები მთელი დღე ისხდნენ თუნდაც ღამის 10 საათამდე. კარგი იქნება, უფრო კონკრეტული თუ იქნება შემდგომი საკითხი, ან საკრებულოს თავმჯდომარის გადასაწყვეტი, რომ იქნეს, გაგრძელდეს თუ არა იმ დღეს სხდომა და მიეცეს მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „სხვათა შორის, როდესაც ამ საკითხზე ვმუშაობდით, რეგლამენტის რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ. მაგალითად, თბილისისა და ფოთის საკრებულოების რეგლამენტები ვნახეთ. აღნიშნულ ცვლილებაში ჩვენ ნაწილობრივ გვაქვს კონკრეტიკა. მაგალითად, თუ სხდომის გახსნის დროისათვის საჭირო ქვორუმი ვერ შედგა, საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საკრებულოს მორიგი სხდომის გახსნა შეიძლება გადაიდოს იმავე დღის სხვა დროისათვის. ხოლო, თუ ამ შემთხვევაშიც არ შედგა ქვორუმი, იმპერატიული უფლება კვლავ ენიჭება კოლეგიალური ორგანოს ხელმძღვანელს, კიდევ დააწესოს სხდომის ჩატარების დრო. ამ ფორმით დაბალანსდა ამ ინდივიდუალური გადაწყვეტილების საშუალება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ასეთი ფორმულირებაც ხომ შეიძლება, მეორედ ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, გადაიდოს სხდომა და საკრებულოს თავმჯდომარემ დანიშნოს სხდომის დღე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აქ დათქმა არ ჩავწერეთ. პრაქტიკულად ასეა. საკრებულოს თავმჯდომარე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. კანონმდებლობიდან გამოდინარე იქნება ეს ყველაფერი განსაზღვრული. შეგიძლიათ, ჩაამატოთ წინადადება, თუ რაიმე ფორმით სხვა მოსაზრება გაქვთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი: გრ.შუშანია, დ.ფხაკაძე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 9 წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №72** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თეა ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №219** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, გრ.შუშანია, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 8 წევრმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №220** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის **-„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 25 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 4 - მა წევრმა: გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №221** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის**

იურიდიული პირის „საქართველოს საპატრიარქოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 - მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 24 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 3 - მა წევრმა: გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№222 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს საპატრიარქოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №222** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის დასაწყისში ჩაემატა სიტყვა: „ქონებით“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 5 - მა წევრმა: გრ.შუშანიამ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№223 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №223** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი, I შესახვევი, №14ა), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,**

სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 26 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 2 - მა წევრმა: გ.კილაძემ, ქ.ხურციძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№224 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი, I შესახვევი, №14ა), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ **განკარგულება №224** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (კაუჩუკის ფილები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში სიტყვა: „უძრავი“, შეიცვალა სიტყვით: „მოძრავი“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს, რამდენადაც მე ვიცი, ეხება

მძლეოსნობის სკოლაში დაგებულ კაუჩუკის ფილებს. სანამ კონტროლს დაიწყებს აღმასრულებელი, კარგი იქნება თუ მივალთ მძლეოსნობის სკოლაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „არ ეხება ეს მძლეოსნობის სკოლას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კომისიის სხდომაზე გვითხრეს, რომ მძლეოსნობის სკოლას ეხება. პრობლემა, რომელზეც ვსაუბრობ, ბატონი დავითი საქმის კურსშია. როგორც ვიცი, წერილიც არის გაგზავნილი სასამართლოში, იმიტომ, რომ არ არის ის ფილები მძლეოსნობის სკოლაში დაგებული. სხვადასხვა სპორტის სახეობის სპორტსმენები ვარჯიშობენ იმ დარბაზში, ფილებს ჭირდება ხელახლა დაგება. ასევე დგას წყლის პრობლემაც. ჩვენ გვქონდა გაერთიანებული კომისიის სხდომა, სადაც ინვენტარის საკითხიც დადგა. დიდი ხანია არ განახლებულა ინვენტარი. წლებია არ განახლებულა და იმედია, ეს აისახება ბიუჯეტში. კითხვა მაქვს ბატონ დავითთან, ხომ არ მოსულა სასამართლოდან პასუხი, სადაც ითხოვთ დამატებითი სამუშაოები განხორციელდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „სამწუხაროდ, ჯერ არ მიგვიღია პასუხი. მიმდინარეოს სასამართლო დავა. შემსრულებელს თანხა დაკავებული აქვს და ვითხოვთ, რომ განახორციელოს მიტოვებული სამუშაოების განახლება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორც იცით (დეპუტატებს მინდა შევახსენო), ბიუჯეტის პრიორიტეტები და ძირითადი პარამეტრები დგება ახლა, აგვისტო-სექტემბრის თვიდან. საკრებულოს წევრებს, თუ რამე სახის ინიციატივის წარდგენა გინდათ, ფორმა მივცეთ ამ საკითხს, შეგვიძლია წარვადგინოთ, იმიტომ, რომ, როცა პრიორიტეტების დოკუმენტი მოგვივა, რთულია რაღაც ფორმით დისკუსიაში შესვლა. მე ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენთაგანის აქტიურობა ამ ნაწილში იქნება ძალიან კარგი. აქვე მინდა მოკლე კომენტარი გავაკეთო ამ კაუჩუკის ნაწილზე. ზოგადად, იმ საკითხზე, რომელიც უკავშირდება საბავშვო ატრაქციონებს. თხოვნა მექნება ქალბატონ მარეხთან, რომ ეს საკითხი ფრაქციულ ფორმატში დავაყენოთ. რიგ შემთხვევებში, ეს საბავშვო ატრაქციონები არის მწყობრიდან

გამოსული. იქ, სადაც არის საბავშვო ატრაქციონები, არ გვაქვს შესაბამისი გარემო. კაუჩუკის ფილები საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილზე არსებობს. საკმაოდ კარგია, ეფექტურია და ბავშვის უსაფრთხოებისათვის არის ძალიან კარგი და მე ვფიქრობ, ამ ნაწილშიც რეაბილიტაციაზე უნდა შევთანხმდეთ. პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს არსებული საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტაცია. ბატონი ბექას ინიციატივაც არის, მის უბანში არის რამდენიმე ფაქტი, სხვა ფაქტებიც არსებობს. ეს თანხები უნდა გავითვალისწინოთ საბიუჯეტო მუხლებში, ვინაიდან ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 9 წევრმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ. მესხმა, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№225 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (კაუჩუკის ფილები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №225**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის -**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლიდან ამოღებულ იქნა სიტყვა: „შეადგენს“, გამეორების გამო),** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ზოგადად, ბევრჯერ მქონია მოსაზრება ამ კომპანიის მიმართ. საზოგადოებაში არსებობს არაერთი შეკითხვა. ჩემი თხოვნა იქნება, მათთან თანამშრომლობა შედგეს. თუ ჩვენი მხრიდან არის მხარდაჭერა მათ მიმართ, გაითვალისწინონ ჩვენი ხედვები. კატასტროფაა, რაც ხდება. შენობა, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია, სოციალური პასუხიმგებლობა მაინც არსებობს, ჩვენ არანაირი იურიდიული უფლება არ გვაქვს, რომ ამ შენობის რეაბილიტაცია მოვახდინოთ, მაგრამ ის, რაც ამ შენობას ჭირს,

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ მხრივ ამ კომპანიას ბევრი რამ აქვს მოსაწესრიგებელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 3 წევრი: თ.ნადირაძე, მ.ნიჟარაძე, მ.რიჟამაძე; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 8 წევრმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ. მესხმა, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№226 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №224** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნინო**

ჭოლაძის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბუაკოსა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიბლუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლიდან ამოღებულ იქნა სიტყვა: „შეადგენს“ გამეორების გამო),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 7-მა წევრმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№227 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნინო ჭოლაძის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბუაკოსა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიბლუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“შესახებ“**განკარგულება №227** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ინგა გუმბერიძის, ქეთევან არაზაშვილის, ნანა იდაძისა და სალომე რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№228 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მოქალაქეების: ინგა გუმბერიძის, ქეთევან არაზაშვილის, ნანა იდაძისა და სალომე რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №228** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-12 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №53ბ), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის №207 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 30 აგვისტოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში ფრჩხილში არსებულ ჩანაწერს დასაწყისში დაემატა სიტყვა: „მისამართი:“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში ჩაემატა ფრაზა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის №207 განკარგულებასთან დაკავშირებით გამოცემულ სამართლებრივ აქტებში“. გამომდინარე აქედან, მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით“ „ მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის №207 განკარგულებასთან დაკავშირებით გამოცემულ სამართლებრივ აქტებში სათანადო ცვლილების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საზოგადოებამ მინდა იცოდეს. საკითხი შეეხება 36 ფართის გაქირავებას ჭავჭავაძის ბაზრობის უკანა ტერიტორიაზე. მე მიმაჩნია, რომ ამ ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ, ქალაქის მერიამ იფიქროს ამ ადგილების გაყიდვაზე. არ მგონია, დახლების გაქირავება ქუთაისის მერიის საქმე იყოს. 36 დახლი პატარა საქმე არ არის. ეს ადამიანებიც, ვინც არიან იქ დასაქმებულები, შეიძენენ ამ დახლებს. როდესაც ამოიწურება ეს ხელშეკრულება, ვიფიქროთ, ამ ფართების

გაყიდვაზე. წლებია მომდინარეობს ეს პრობლემა, ამიტომ სჯობს, ეს დახლები გავასხვისოთ, შემდგომ ისინი განვითარებაზეც იფიქრებენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დიდი მადლობა გიგა. სუბიექტურად გეტყვით, ამ ნაწილში იგივე პოზიცია მქონდა. როდესაც ამ საკითხს განვიხილავდით წინა სხდომაზე, შეგახსენებთ, რომ საკითხი მეორედ შემოდის, ვინაიდან, მოხდა ფართების ცვლილება, რეალურად ამ ადამიანებს იმდენი ფართი არ ჭირდებოდათ. ამიტომ გაგვიხდა საკითხის მეორედ განხილვის საჭიროება. ერთადერთი მოტივაცია ამ საკითხზე, ამ ფორმით, კოლეგებიც დამეთანხმებიან, არიან იქ დასაქმებული ადამიანები. ამ ეტაპზე ეს საკითხი დავტოვოთ ამ ფორმით, ასევე გეტყვით და თქვენც ალბათ, იქნებით ინფორმირებულნი, რომ ამ ადამიანების არაერთი წერილი არსებობდა ადგილობრივ თვითმმართველობაში. ყველა ის მოთხოვნა იყო გათვალისწინებული, რაც ამ მოქალაქეებმა დააყენეს. ამ პირობაზე შევჯერდეთ ჯერ და შემდეგ გასხვისების სხვა ფორმებზე. პირობითი იჯარა იქნება ეს თუ პირობითი აუქციონის თემა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სჯობს, ახლავე ვუთხრათ ამ ადამიანებს, რომ თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს ქუთაისის მერია და მე მგონი, უნდა მიიღოს, გავაფრთხილოთ ეს ადამიანები, მათაც ერთი წელი ექნებათ მოსამზადებლად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 9 წევრმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს **№229 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №53ბ), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის №207 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №229** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს 22-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:43:29 +04'00'

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.